ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1315307

ნომერი: AR1225659

თარიღი : 03.06.2014

გაცემის თარიღი : 10.06.2014

გაცნობის თარიღი : 10.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ალ. ყაზბეგის გამზ. 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი უგრეხელიძე პ/ნ 01027057615
- თბილისი ვარკეთილი 3 III მ/რ კორ. 333 ბ. 4

ორგანიზაცია:

- სს "ქართული კრედიტი" კოდი: 206238800

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

წარმოდგენილ დოკუმენტაციით გაურკვეველია თუ რამდენად უფლებამოსილმა პირმა მომართა სამსახურს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გაურკვეველია თუ რამდენად კანონიერ ფართზეა მოწყობილი გისოსი რომლის ლეგალიზებასაც განმცხადებელი ითხოვს, არ არის რუკაზე განაცხადის მდებარეობა მონიშნული. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ დამატებით

წარმოსადგენია: აზომვითი ნახაზი (გეგმები) წითელი ხაზების და არსებული სერვიტუტის დატანით.
ფოტოსურათები წარმოსადგენია ობიექტის დეტალური ასახვით შორი და ახლო მანძილებიდან გადაღებული;
წარმოსადგენია თანამესაკუთრეთა 100% თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განაცხადის მდებარეობა რუკაზე ზუსტად მონიშნული.

სხვა დოკუმენტთან ერთად განმცხადებლის მიერ დამატებით წარმოსადგენია: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და შ.პ.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საკუთრება "ქართული კრედიტი"–ს წესდება და შესაბამისი უფლებამმოსილების დამდგენი დოკუმენტი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, იმ ფართის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი რომელ ფართზეც მოწყობილია გისოსები,
ასევე ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუთით, განმცხადებლის მიერ დამატებით წარმოსადგენია იმ პირის თანხმობა ვის სასარგებლოთაცაა დატვირთული აღნიშნული უფლება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში წარმოადგინოს:

1. აზომვითი ნახაზი (გეგმები) წითელი ხაზების და არსებული სერვიტუტის დატანით;
2. ფოტოსურათები ობიექტის დეტალური ასახვით (შორი და ახლო მანძილებიდან გადაღებული);
3. თანამესაკუთრეთა 100% თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
4. ზუსტად მონიშნული განაცხადის მდებარეობა რუკაზე;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
6. შ.პ.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საკუთრება "ქართული კრედიტი"–ს წესქება;
7. შ.პ.ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საკუთრება "ქართული კრედიტი"–ს მიერ მარიამ უგრეხელიძის სახელზე გაცემული შესაბამისი უფლებამმოსილების დამდგენი დოკუმენტი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით;
8. იმ ფიზიკურ ან/და კერძო პირის თანხმობა ვის სასარგებლოთაცაა დატვირთული აღნიშნული უფლება (სერვიტუტი).
9. იმ ფართის საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი რომელ ფართზეც მოწყობილია გისოსები;

მითითებულ ვადაში დოკუმენტის წარმოუდგენლობის ან/და არსრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.